ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2727212

ნომერი: AR1422240

თარიღი : 13.07.2016

გაცემის თარიღი : 20.07.2016

გაცნობის თარიღი : 27.07.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქინძმარაული , N 5-7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი ხუნწარია პ/ნ 01030035924
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: გაურკვეველია წარმოდგენილ არსებული სიტუაციის ფოტოსურათზე არსებული სადემონტაჟო ობიექტის -

დაწყებული მშენებლობის კანონიერების საკითხი. საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნულის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57–ე დადგენილების მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მშენებლობის ერთ–ერთ სახეს წარმოადგენს დემონტაჟი, რაც სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, უნებართვო შენობა–ნაგებობების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს ზედამხედველობის ორგანოს მიერ მითითების გაცემით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს უნებართვოდ განხორციელებული სამუშაოების დემონტაჟის განხორციელების წერილობით დადასტურებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.